ლელო

ივლისი.1995 წ.

ფასი 800 რუბლი, ან 200 000 კუპონი.

№26 (10937)

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## „დააყენეთ პელე სასწორზე, რასაც აიწონის, იმდენ ოქროს გადავიხდი!“

იხ. მე-3 გვ.



კალათბურთში ევროპის საკლუბო ტურნირების წილისყრა

## „ვითას“ ძლიერი მეტოქე შეხვდა, „ქუთაისს“ კი...

კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის მიუნხენის შტაბ-ბინაში გამართულმა კენჭისყრამ დაასახელა 1995-96 წლების ევროპის საკლუბო ტურნირებში მონაწილე წყვილები. საქართველოს გუნდები ასპარეზობენ მხოლოდ ორ გათამაშებაში: „ვითა“ — ევროპის ჩემპიონატში და „ქუთაისის“ ქალთა კოლექტივი — „ლილიან რონკეტის თასზე“.

ევროპის საკლუბო ჩემპიონატის პირველ რაუნდში „ვითას“ საკმაოდ ძლიერი მეტოქე შეხვდა — ლიტვის „ჟალგირისი“. პირველი მატჩი გაიმართება 7 სექტემბერს, მეორე — ერთი კვირის შემდეგ, 14 სექტემბერს. წარმატების შემთხვევაში ქართველი კალათბურთელების მეტოქე მეორე რაუნდში საბერძნეთის „პანათინაიკოსი“ იქნება. დაგვერწმუნებით ალბათ, რომ საქართველოს ჩემპიონს კენჭისყრამ აშკარად არ გაუმართლა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, პარალელის გასავლებად კმარა ლიტვისა და საბერძნეთის კალათბურთელთა ამასწინანდელი გამოსვლის გახსენება ევროპის ჩემპიონატზე (მართალია, საკლუბო ტურნირებში ამ ქვეყნების ლეგიონერები მონაწილეობას არ ღებულობენ, მაგრამ მათ ისედაც ჰყავთ მაღალი კლასის ოსტატთა საკმარისი რაოდენობა).

მეორე რაუნდის პირველი მატჩები შედგება 28 სექტემბერს, განმეორებითი — 5 ოქტომბერს. მეორე რაუნდის დამთავრების შემდეგ გაიმართება ჯგუფური ტურნირების წილისყრა.

„ლილიან რონკეტის თასის“ პირველ რაუნდს „ქუთაისის“ ქალთა გუნდი გამოტოვებს (აქ შეხვედრები შედგება 6 და 13 სექტემბერს). მეორე რაუნდში კი ჩვენების მეტოქე თურქეთის „ბოტასი“ იქნება. ქართველ კალათბურთელებს, ჩვენი აზრით, მესამე რაუნდში გასვლის რეალური შანსი აქვთ. და თუ ეს მოხდა, „ქუთაისის“ მეტოქე იქნება საბერძნეთის „პანათინაიკოსსა“ და უნგრეთის „ტორნას“ შორის გამარჯვებული. მეორე რაუნდის შეხვედრები დანიშნულია 27 სექტემბერსა და 4 ოქტომბერს, მესამე რაუნდისა კი 25 ოქტომბერს და 1 ნოემბერს.

## ჩვენები ევროტურნირებში

საქართველოს სამივე საფეხბურთო კლუბი წილისყრით პირველ შესარჩევ მატჩებს ევროპის საკლუბო ტურნირებში გამართავს სტუმრად.

**თასების თასი:** „ობლიცი“ (იუგოსლავია) — „დინამო“ (ბათუმი) — 10 აგვისტო.

**უეფას თასი:** „ბოტევი“ (ბულგარეთი, პლოვდივი) — „დინამო“ (თბილისი); „ვარდარი“ (სკოპლე, მაკედონია) — „სამტრედია“. ორივე მატჩი ჩატარდება 8 აგვისტოს.

**საპასუხო შეხვედრები:** ბათუმის „დინამო“ — 24 აგვისტო (ბათუმი). „სამტრედია“ — 22 აგვისტო (ბათუმი). თბილისის „დინამო“ — 22 აგვისტო (თბილისი).

ორიოდე სიტყვა ჩვენს მეტოქეებზე. ყველაზე ცნობილი მათგან არის „ბოტევი“, რომელიც სხვადასხვა წლებში სამჯერ იყო ბულგარეთის ჩემპიონი, ორგზის — თასის მფლობელი, მრავალგზის — პრიზიორი, მონაწილეობა მიუღია ევროპის სამივე საკლუბო ტურნირში. ახლახან დამთავრებულ ბულგარეთის ჩემპიონატში მე-3 ადგილი დაიკავა (16 გუნდს შორის), ხოლო თასის ფინალში წააგო სოფიის „ლოკომოტივთან“ (2-4).

„ვარდარი“ იუგოსლავიის ჩემპიონი იყო 1987 წელს და თასის მფლობელი 1961 წელს. წლეულს მოიპოვა მაკედონიის ჩემპიონობა. მონაწილეობა მიუღია ევროპის სამივე საკლუბო ტურნირში.

„ობლიცი“ იუგოსლავიის „ბ“ დივიზიონში გამოდის, სადაც V ადგილი დაიკავა. ევროპის თასების მფლობელთა თასზე თამაშის უფლება მოიპოვა იმის გამო, რომ ბელგრადის „ცრვენა ზვეზდას“ შეხვდა ფინალში, სადაც დამარცხდა ანგარიშით (0-4 და 0-0).

## მარტინა ნავრატილოვა: კოლორადოში სდევნიან ჰომოსექსუალისტებს!



მარტინა ნავრატილოვა

● **პირველი შეკითხვა, შესაძლოა, მოულოდნელი იყოს. ინახავთ თუ არა იარაღს?**

— ვინახავ. პისტოლეტი ვიყიდე მას შემდეგ, რაც მუქარით სავსე წერილი გამომიგზავნეს ირლანდიის რესპუბლიკური არმიის ბოევიკებმა.

● **რით ასაბუთებენ მუქარას?**

— არაფრით.

● **შეძლებთ იარაღის ხმარებას?**

— თუ ჩემს, ან ჩემი ახლობლის სიცოცხლეს დაემუქრებიან, რა თქმა უნდა, ვიხმარ იარაღს.

● **აშშ-ში, ისევე როგორც ყველგან, კრიმინოგენული ვითარება რთულია. გაღელვებთ თუ არა ეს?**

— თქვენ მართალი ხართ. ეს არ არის მხოლოდ ამერიკის პრობლემა. დაუკვირდით რა ხდება გერმანიაში. შესაძლოა შეერთებულ შტატებში უფრო სიმშვიდეც არის.

● **თექვსმეტი წლის რომ იყავით, აღფრთოვანებული ლაპარაკობდით ამერიკაზე: ვნანობ, რომ იქ არ დავიბადეო. კვლავინდებურად თუ მიგაჩნიათ აშშ ყველაზე თავისუფალ ქვეყნად მსოფლიოში?**

— რეიგანმა და ბუშმა თავისუფლების ბევრი პრინციპი გათელეს ფეხით. ამერიკა მარჯვნივ განვითარდა და, ბუნებრივია, ჩვენთან ადამიანის ბევრი ფუნდამენტური უფლება ირღვევა. კოლორადოს შტატში, მაგალითად, აშკარად სდევნიან ჰომოსექსუალისტებს. სწორედ ამიტომ მივიღე პირველად მონაწილეობა საპრეზიდენტო არჩევნებში. თავისუფლების დაცვის დრო დადგა.

● **კლინტონს მიეცით ხმა?**

— დიახ. იმიტომ, რომ მჯერა ადამიანის უფლებებს მეტად დაიცავს.

● **ეტყობა კოლორადოდან წასვლას აპირებთ. რომელ შტატს აირჩევთ ამჟამად?**

— ჯერ არ ვიცი. იქნებ ვაიომინგს, ან კალიფორნიას. ყოველ შემთხვევაში, იქ არ დავრჩები, სადაც მემუქრებიან და მდევნიან.

● **თქვენ ხშირად საჯაროდ უხსნით სიყვარულს ქალებს, ეხვევით სკანდალურ ისტორიებში. არ გეშინიათ, რომ ეს ყველაფერი გაგიფუჭებთ იმიჯს და დაგაკარგვინებთ მილიონობით დოლარს?**

— მიმიფურთხებია ამისთვის. ჩემთვის მთავარია ჩემი პირადი ცხოვრება.

● **პირველ ხანებში, როცა იწყებდით შტატებში ცხოვრებას, გაზეთები ბევრს წერდნენ თქვენზე?**

— მაშინ მე სულელ პაპუასად გამოვყავდით, რომელსაც ჰამბურგერები მოსწონდა და მანქანების ეშინოდა. თითქოს მანამდე არ ვყოფილიყავი „მაკდონალდსში“. სხვათა შორის, ჩემზე ახლაც ბევრ სისულელეს წერენ, მაგრამ ადრე, ცხადია, უფრო მიჭირდა.

● **რატომ?**

— იმიტომ, რომ ოჯახი თვრამეტი წლისამ მივატოვე და არც კი ვიცოდი კარგად შევხვდებოდი თუ არა ოდესმე ჩემიანებს. ბებია შემდგომში მხოლოდ ერთხელ ვნახე, მშობლებს კი გაუძალლეს ცხოვრება. ჩეხოსლოვაკიაში ჩასვლის უფლება არ მქონდა შეჯიბრების დროსაც კი.

იხ. მე-4 გვ.

## «ლოკომოტივი» — «შევარდენი-1906»

საქართველოს ეს ორი საფეხბურთო კლუბი შეერთდება თანასწორუფლებიანობის საფუძველზე — ასეთია ხელშეკრულების პროექტის დედააზრი. ცნობა იმის შესახებ, რომ „ლოკომოტივმა“ იყიდა „შევარდენი-1906“, სწორი არ არის. როგორც გაერთიანებული გუნდის მეორე მწვრთნელმა გ.გვანცელაძემ გვაუწყა, ერთიანი შემადგენლობით ფეხბურთელები უკვე შეუდგნენ ვარჯიშს. ქართული ფეხბურთის საკეთილდღეოდ კიდევ ერთი ნაბიჯი იდგმება. მივესალმებით!

## ქინქლაძე — „ტორინოში“?

თბილისის დინამოელი გიორგი ქინქლაძე ის ფეხბურთელი აღმოჩნდა, რომლითაც დაინტერესებულია იტალიის ცნობილი „ტორინო“, შესაძლოა მათ შორის დაიდოს კონტრაქტი. შეგახსენებთ, რომ გ. ქინქლაძეს გასულ სეზონში არგენტინის „ბოკა ხუნიორსი“ ეპატიჟებოდა.

ჭადრაკი

## ხუთიდან ხუთი — ეს იშვიათად ხდება!

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, ქალთა მსოფლიო პირველობის ზონალურ ტურნირში, რომელიც ანკარაში გაიმართა, საქართველოს 5 წარმომადგენელი მონაწილეობდა, აქედან ოთხმა (მაია ლომინეიშვილი, ნინო გურიელი, ნატო ეძგვერაძე, მირანდა ხორავა) მოიპოვა საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის უფლება, რაც თავისთავად დიდი წარმატებაა. რაც შეეხება მეხუთეს — საქართველოს ჩემპიონს ნათია ჯანჯღავას, მას დამატებით შეჯიბრებაში მოუხდა მონაწილეობა სომხეთისა და იუგოსლავიის ორ-ორ წარმომადგენელთან ერთად, ამასთან, ამ 5 მოჭადრაკეს 3 საგზური უნდა გაეთამაშებინა.

ამ დღეებში ბელგრადში დამთავრდა ეს დამატებითი შეჯიბრება. ოთხი თამაშიდან სამი ქულით პირველ ადგილზე გავიდა საერთაშორისო ოსტატი ელინა დანიელიანი (სომხეთი), მას ნახევარი ქულით ჩამორჩა ნათია ჯანჯღავა, მესამე ადგილზე კი საერთაშორისო ოსტატი სუზანა მაქსიმოვიჩია.

ასე რომ, მოხდა იშვიათი ამბავი — საქართველოს ხუთი წარმომადგენლიდან ხუთივემ მოიპოვა საზონათაშორისო ტურნირში თამაშის უფლება, იგივე უფლება პერსონალურად მიენიჭა დიდოსტატებს ნანა იოსელიანსა და ქეთევან არახამიას. გავიხსენოთ, რომ საგზური კიდევ ერთმა ქართველმა დიდოსტატმა, ამჟამად გერმანიის წარმომადგენელმა ქეთევან კახიანმა მოიპოვა.

# სპორტული მედიცინა ყველას სამსახურში!

**ინფარქტის, სტენოკარდიის, ინსულტების (დაზიანებას) შემდგომი მდგომარეობის, ენდოკრინული (სიმსუქნე, დიაბეტი), ბრონქიალური ასთმის, ქრონიკული პნევმონიის, ნერვული სისტემის ფუნქციონალური მოშლილობის, ორთოპედული, სხვადასხვა გინეკოლოგიური დაავადების მკურნალობისათვის ამიერიდან ყველასთვის ხელმისაწვდომია სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრი.**

**გვესაუბრება ცენტრის მთავარი ექიმი ოთარ ვირუბოვი.**

— ცენტრი გაიხსნა თბილისში ადრინდელ საექიმო ფიზკულტურის დისპანსერის ბაზაზე — გაერთიანდნენ რესპუბლიკური და საქალაქო დისპანსერები. სპორტულ მედიცინაში ჩვენი ამოცანაა სპორტსმენებისა და გამაჯანსაღებელ ჯგუფებში მომეცადინეთა სამედიცინო უზრუნველყოფა (პერიოდული და გაღრმავებული შემოწმებები, სპორტული ტრავმატიზმის პროფილაქტიკა), ვარჯიშებზე, შეკრებებზე, შეჯიბრებებზე სამედიცინო მომსახურება. მეორე მიმართულება მოიცავს სპორტულ და სამედიცინო რეაბილიტაციას. პრაქტიკა და გამოცდილება დიდი გვაქვს. ფიზკულტურის დარბაზი, ლაბორატორიები და კაბინეტები უზრუნველყოფილია კვლევისა და მკურნალობის თანამედროვე აპარატურით. მაღალკვალიფიციური სპეციალისტები სპორტსმენების გარდა მოემსახურებიან მოქალაქეებს. 1 აგვისტოდან ცენტრში მომსახურება ფასიანი იქნება, სპორტსმენების სამედიცინო უზრუნველყოფის ხარჯებს გადაიხდის სპორტის დეპარტამენტი და განათლების სამინისტრო. ეს იძულებითი ნაბიჯია, მაგრამ სავსებით თავსდება ჯანდაცვის რეფორმის მოთხოვნებში.

მობრძანდით, ჩვენი მისამართია თბილისი, ჭავჭავაძის 49ა.

ჩაიწერა
ხათუნა აფაქიძემ.

## ინფორმაცია

ფრიდეკ-მისტეკი (ჩეხეთი). აქ გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში ათლეტიზმის ძალისმიერ სამჭიდში სიღნაღელმა შოთა ბეჟაშვილმა (**110 კგ**) ნახევარი კილოგრამით გააუმჯობესა თავისივე მსოფლიო რეკორდი წოლჭიმში — **145,5 კგ**. მეორე სიღნაღელი ათლეტი მამუკა შენგელია (**66**) — მეხუთე იყო. უსახსრობის გამო ჩემპიონატზე ნაცვლად თერთმეტისა, მხოლოდ ზემოხსენებული ორი სპორტსმენი გაემგზავრა რაიონის დახმარებით.

## ფედერაციებში

თბილისის კრივის ფედერაციის კონფერენციამ პრეზიდენტად აირჩია სპორტის ოსტატი ირაკლი მელაძე.

## მილოცვა

ალეკო (ბაჩო) რთველაძეს დაბადების დღეს ულოცავენ მშობლები კოტე, დალილა, და — ნინიკო.

# ერთი... შესანიშნავი სამეულიდან



იბრაგიმ სარჯველაძე

დინამოელებისათვის საკუთარ მინდორზე რიგით მეორე საერთაშორისო მატჩი იყო. მეტოქე სერიოზულზე სერიოზული გახლდათ — თბილისელები მასპინძლობდნენ ბელგრადის „პარტიზანს", იმხანად ერთ-ერთ საუკეთესო გუნდს ევროპაში, სახელგანთქმული ოსტატების ზლატკო ჩაიკოვსკის, სტეპან ბობეკისა და რაიკო მიტიჩის კლუბს. აქვე ვიტყვით, რომ ამ სამეულმა მოგვიანებით მონაწილეობა მიიღო ჰელსინკის ოლიმპიურ ტურნირში. გახსოვთ, ალბათ, მათი ორი უაღრესად ისტორიული მატჩი (5:5 და 3:1) საბჭოთა ნაკრებთან?!

**1946** წლის **11** აგვისტოს საქართველოს დედაქალაქის სტადიონზე ტევა არ იყო — „პარტიზანთან" მატჩზე მოვიდა **45** ათასი მაყურებელი. ამ შეხვედრისათვის ჩვენი დინამოელები საგანგებოდ ემზადებოდნენ, მაგრამ მატჩამდე რამდენიმე დღით ადრე მწყობრიდან გამოვიდა თბილისელთა დაცვის ყველაზე გამოცდილი მოთამაშე — მარცხენა მცველი არჩილ კიკნაძე. საგონებელში ჩავარდა უფროსი მწვრთნელი ანდრო ჟორდანია: რით „ამოევსო" ეს სიცარიელე? გადაწყდა, სასწრაფოდ ჩამოეყვანათ მოსკოვის რომელიმე გუნდის მეოთხე ნომერი. მაგრამ ვინ? არმიელმა იური ნირკოვმა და დინამოელმა ივან სტანკევიჩმა თავიანთ გუნდებში უკვე ითამაშეს „პარტიზანის" წინააღმდეგ. რჩებოდა ტორპედოელი აგუსტინ გომესი. საუკეთესო კანდიდატურა იყო. პრობლემა თითქოს გადაწყვეტილი ჩანდა, როდესაც საქმეში გრიგოლ გაგუა ჩაერია: რად გვინდა სხვისი მოთამაშე, ჩვენს დუბლში ახალგაზრდა მარცხენა ნახევარმცველი გვყავს — სარჯველაძე! მოდით, ის დავწიოთ უკან, დაცვაში: კარგი ბიჭია, საზრიანი, ჯიგრიანი, მებრძოლი.

მოთელვაზე დინამოელების შემადგენლობაში გულშემატკივრებმა ვიღაც ახალგაზრდა, მკვრივი აგებულების, ცოტა თმახუჭუჭა „ოთხიანი" იხილეს. არავინ იცოდა მისი ვინაობა, აი დანარჩენებს კი კარგად იცნობდნენ ფეხბურთის ქომაგები: მეკარე იოსელიანი, მცველები ფეხლევანიდი და სალდაძე, ნახევარმცველები ბერძენიშვილი და გაგუა, თავდამსხმელები ჯეჯელავა, ღოღობერიძე, პაიჭაძე, ბერეჟნოი და პანიუკოვი. ამასობაში დიქტორმა გამოაცხადა: „ნომერი ოთხი — სარჯველაძე!"

— დუბლიდანაა! — იცნო ვიღაცამ.

— ბათუმელია, მერე ქუთაისში თამაშობდა — დააკონკრეტა მეორემ.

ასე შედგა იბრაგიმ (იბო) სარჯველაძის დებიუტი დიდ ფეხბურთში.

**2:1** — იუგოსლავიელებმა დამსახურებულ გამარჯვებას მიაღწიეს. აღსანიშნავია, რომ მატჩის რეპორტაჟი სამ ენაზე მიმდინარეობდა: ხორვატიულზე (კომენტატორი — იუგოსლავიის ჟურნალ „ფრონტის" რედაქტორი ნ. კადია), რუსულზე (ვადიმ სინიავსკი) და ქართულზე (ეროსი მანჯგალაძე). არ ვიცით რა თქვა თითოეულმა მათგანმა, მაგრამ თბილისელთა დებიუტანტზე ძვირს რომ ვერ იტყოდნენ, ეს ცხადზე ცხადია.

იმ დღის შემდეგ კიკნაძე და სარჯველაძე მონაცვლეობით თამაშობდნენ დინამოელთა მარცხენა მცველის ადგილზე, ხოლო მომდევნო სეზონიდან იბომ მტკიცედ დაიმკვიდრა ადგილი დაცვის ხაზში.

— ბატონ ანდროს „პარტიზანის" წინააღმდეგ სარჯველაძის გამოყვანა მართლაც მე შევთავაზე — იხსენებს სპორტის დამსახურებული ოსტატი გრიგოლ გაგუა — მოგვიანებით იბო მე „მამობილს" მეძახდა. ტექნიკური, უშიშარი, აზრიანი ფეხბურთელი იყო, მშვენივრად იცოდა ბურთისართმევა, ეგრეთ წოდებული „პოდკატი" და „მაკრატელა".

ბათუმში აიდგა ფეხი და იქვე ეზიარა ფეხბურთს. ქალაქის მთავარი სტადიონის უკან იმხანად ერთი პატარა მოედანი იყო. როგორც ყველგან, ადგილობრივი ბიჭები იქაც დილიდან დაღამებამდე დასდევდნენ ბურთს. ყველას „პაიჭაძეობა" უნდოდა და ყველა წინ თამაშობდა. აი პატარა იბო სარჯველაძეს კი ჩაგრავდნენ — „შენ კარში დადექი და ეცადე ბურთი არ გაუშვა!", მოგვიანებით იბომაც სინჯა სხვის კარში ბურთის გატანის გემო — უბნის გუნდში უფროსი ბიჭები მას უკვე მარჯვენა გარემარბად აყენებდნენ, თუმცა იქვე აფრთხილებდნენ, რომ მეტოქის კართან მათთვის ხელი არ შეეშალა.

ქუჩის ფეხბურთი მხოლოდ მაშინ თავდებოდა, სტადიონიდან ბურთზე დიდების დარტყმა რომ გაისმოდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ სავარჯიშოდ გამოსული იყვნენ ბათუმელი დინამოელები. ბიჭები ახლა კარის უკან იკავებდნენ ადგილს და მიზანს აცდენილ ბურთებს უბრუნებდნენ უფროსებს: საშა ელიავას, ალიოშა მარუაშვილს, კუკო ფეხლევანიდს, ბორის ჩიტაიას, ქეფთორ კელენჯიანს, კარპო კარამატაზიანს, გიორგი აროშიძეს... სხვებისგან განსხვავებით, იბო ცდილობდა მუდამ ფეხით მოეგერიებინა ბურთები. დინამოელთა კაპიტანმა საშა ელიავამ შეამჩნია ენერგიული ყმაწვილი და თავისთან იხმო.

მაღ შეიძლება ითქვას, რომ ასეთი შესანიშნავი, შეთამაშებული, თანაბარი სიძლიერის დაცვის ხაზი (ვლადიმერ ელოშვილი, ნიაზ ძიაპშიპა, იბრაგიმ სარჯველაძე) ჩვენს გუნდში მანამდე არ ყოფილა. ზურგს ხომ დიდებული მეკარე ვლადიმერ მარღანია უმაგრებდათ... თავისი ტრადიციული „კეპკით".

ი. სარჯველაძე ტოლს არ უდებდა იმ დროის საუკეთესო მარცხენა მცველებს — არმიელ ნირკოვს, დინამოელ სტანკევიჩს, ტორპედოელ გომესს, აშკარად სჯობდა ლენინგრადელ პშენიჩნის, მინსკელ მიმრიკს, ლოკომოტიველ ანტონევიჩს, კუიბიშეველ მურზინს და სხვა მეოთხე ნომრებს. ამიტომაც რამდენჯერმე შეიყვანეს კიდეც 33 საუკეთესო ფეხბურთელთა სიაში. მართლაც უჭირდათ მისი „გავლა" აღიარებულ მარჯვენა გარემარბებს — ტროფიმოვს, გრინინს, ტატუშინს, სოჩნევს, პონფილოვს...

იბრაგიმ სარჯველაძე საკავშირო ჩემპიონატების ოთხი მედლის მფლობელი გახდა — ორი ვერცხლისა (**1951** და **1953** წ.წ.) და ამდენივე ბრინჯაოსი (**1947** და **1950** წწ).

— იბო მუდამ იყო ჩემი იდეალი ფეხბურთშიც და ცხოვრებაშიც, — გვეუბნება მისი სახელოვანი თანაგუნდელი ვლადიმერ ელოშვილი, — გულით და სულით სპორტსმენი გახლდათ, მებრძოლი, მეგობრული, სამართლიანი. ბედმა გამიღიმა — დიდ ფეხბურთში მისი პირველი გამოსვლის მოწმე მეც გახლდით. მაშინ „შრომითი რეზერვების" ახალგაზრდულ გუნდში ვთამაშობდი და მწვრთნელებმა ბიჭები „დინამოს" სტადიონზე ერთად წაგვიყვანეს. რას ვიფიქრებდი მაშინ, რომ სამი წლის შემდეგ სარჯველაძესთან ერთად ვითამაშებდი დინამოელთა დაცვაში. თავიდანვე იჩენდა ზრუნვას ჩემს მიმართ, ბევრს მასწავლიდა, მარიგებდა.

ყველანი გოგონებია, ისე რომ, პატარა იბოს სარჯველაძეთა [illegible] და იბრაგიმი სულ ოცნებობს იმაზე, ეგებ ჩემსავით ფეხბურთელი კიდევ დაიბადოს ჩვენს სახლშიო!

ბევრი რამ გავიხსენეთ იმ დღეს ი. სარჯველაძის საფეხბურთო ბიოგრაფიიდან, რა არ ითქვა. ქალბატონმა ნათელამ ერთი საიდუმლო გაგვიმხილა: იბოს თურმე ძალიან ეშინია თვითმფრინავში ჩაჯდომა და მოსკოვში თუ ლენინგრადში მატჩებზე მუდამ მატარებლით მიემგზავრებოდა თანაგუნდელებზე ორი-სამი დღით ადრე. მერე აეროპორტში ხვდებოდა მათ. ერთხელ, ქართული ფეხბურთის ვეტერანები ამხანაგურ თამაშებზე მიიწვიეს ოჯახებით ბულგარეთში. სოფიაში ისე ჩავფრინდით, თვითმფრინავის ილუმინატორში ერთიც არ გაუხედავს. მიკვირს, როგორ იფრინა იბომ **1970** წლის მსოფლიო ჩემპიონატზე მეხიკოში მთელი **15** საათი! სხვათა შორის, იქიდან ჩამოტანილი სომბრერო, თქვენ რომ გადაუღეთ სურათი „აცტეკას" სტადიონზე ბრაზილიისა და იტალიის ნაკრებთა ფინალური მატჩის დღეს, ვიღაცას აჩუქა. კეთილი ბუნებისაა უსაზღვროდ...

ხშირად მოდიან სარჯველაძეების სახლში იბოს თანაგუნდელები — გრიგოლ გაგუა, ვლადიმერ ელოშვილი, მიხეილ ჯოჯუა, რევაზ მახარაძე, კარლო გაგნიძე, გივი ხოჭოლავა, ვლადიმერ ბარქაია და, უპირველესად, მისი სიყრმის მეგობარი, ძველი ბათუმელი ფეხბურთელი ვახტანგ მახარაძე. ზრუნვას და ყურადღებას არ აკლებენ ფეხბურთის ცნობილ ოსტატს სხვა ბათუმელებიც. სხვათა შორის, იბო სარჯველაძემ ისე მიატოვა დიდი ფეხბურთი, სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება არ აღირსეს, არადა, თუ ეკუთვნოდა იგი ვინმეს, ცხადია, მათ შორის — სარჯველაძეს.

ამას წინათ ვ. ბარქაიასთან ჩამოვაგდე საუბარი ი. სარჯველაძეზე. ორივეს დაგვებადა აზრი, რომ კარგი იქნება, თუ სარჯველაძისადმი მიძღვნილი ვეტერანთა საქველმოქმედო ტურნირი ჩატარდება, ვთქვათ, იმ გუნდებს შორის, რომლებშიც იგი თამაშობდა — თბილისელ, ბათუმელ, ქუთაისელ, აგრეთვე ლანჩხუთელ ფეხბურთელთა მონაწილეობით. ეგებ ოთხთა ტურნირს ისევ ბათუმმა უმასპინძლოს — ქალაქმა, სადაც ფეხი აიდგა ტყავის ბურთის შესანიშნავმა ოსტატმა, პოპულარულმა ქართველმა ფეხბურთელმა იბრაგიმ სარჯველაძემ.



სურათზე: თბილისის „დინამო" პოლონეთში ვროცლავის „უნიასთან" 1951 წლის 28 ოქტომბრის მატჩის წინ — (მარჯვნიდან) ავთანდილ ღოღობერიძე, ვლადიმერ მარღანია, ნიკოლოზ თოდრია, ნიაზ ძიაპშიპა, ვიქტორ პანიუკოვი, გიორგი ანთაძე, იური ვარდიმიადი, იბრაგიმ სარჯველაძე, ავთანდილ ჭკუასელი, ვლადიმერ ელოშვილი, კონსტანტინე გაგნიძე.
ნორბერტ ბორონოვსკის (პოლონეთის გაზეთ „სპორტუს" რეპორტიორი) ფოტო.

სულ მალე სარჯველაძე ადგილობრივი სპორტსკოლის გუნდში ჩარიცხეს, მოგვიანებით კი ბათუმის „დინამოში" მიიღეს სტაჟიორად. ორი წლის შემდეგ იგი უკვე ძირითად შემადგენლობაში თამაშობდა. გავიდა კიდევ ორი წელიწადი და ი. სარჯველაძე ქუთაისის „დინამოში" აიყვანეს. სწრაფი, ტექნიკური, შედეგიანი მარჯვენა შუამარბი აქ ნოე ხერხაძესთან, კიკა ხინთიბიძესთან, შოთა ვაჩაძესთან, მიხეილ გერაძესთან, ვლადიმერ ლექსოვსკისთან ერთად თამაშობდა ხუთი სეზონი. დინამოელები საქართველოს თასს დაეუფლნენ — ფინალში სძლიეს თბილისელ არმიელებს.

ქუთაისელთა თამაშს რამდენჯერმე ანდრო ჟორდანია დაესწრო, რომელმაც ი. სარჯველაძე თბილისის „დინამოში" წამოიყვანა („ძალლი ფეხბურთელიაო!").

მთელი ათი სეზონი ითამაშა იბრაგიმ სარჯველაძემ თბილისის „დინამოში" და თამაშელიძეში შეკრებაზე ყოფნისას გულახდილად მითხრა: ჩვენს გუნდში დიდი კონკურენციაა, ლამაზი თვალებისათვის აქ არავინ გაგაჩერებს, მხოლოდ დიდი ოფლისღვრით შეიძლება მოიპოვო ადგილი ძირითად შემადგენლობაში. მახსოვს, ერთ-ერთ მატჩში (თუ არა ვცდები კუიბიშეველებთან) სარჯველაძეს ბუცით შუბლი გაუტეხეს, საექიმო პუნქტში ნემსი გაუკეთეს სასწრაფოდ, თავი შეუხვიეს. მიუხედავად ამისა, მეორე ტაიმში კვლავ გამოვიდა მინდორზე.

იბო სარჯველაძეს შინ ვეწვიეთ. დაბადების დღე ჰქონდა — **71** წელი შეუსრულდა. სამწუხაროდ, უკანასკნელ დროს ცოტა ავადმყოფობს. მისი ერთგული მეუღლე, ქალბატონი ნათელა (იგი უნივერსიტეტის ფიზაღზრდის კათედრის პიანისტი — აკომპანიატორია) დაუღალავად უვლის ქმარს:

— **44** წელია შეუღლებულები ვართ, ორი ქალიშვილი და სამი შვილიშვილი გვყავს.

ოთარ ნოზაძე

# ყველაზე მაღალი დანი!

**აღმოსავლეთ** ევროპის შოტოკან კარატე-დოს ასოციაციამ (პრეზიდენტი ჩვენი თანამემამულე კახა ბასილია) მოსკოვში ჩაატარა საერთაშორისო სემინარი, რომელზედაც ხელმძღვანელად მიიწვიეს მსოფლიო ფედერაციის მთავარი ინსტრუქტორი, მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი ხიტოში კასუია. გამოცდებზე კ. ბასილიას მიენიჭა მეოთხე დანი, რაც ყველაზე მაღალია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის. მესამე დანი მიიღო დ. გიორგანაშვილმა, მეორე — ბ. ხუციშვილმა, კ. ჭედლიძემ, რ. სახვაძემ, თ. სახვაძემ და გ. გოჩიაშვილმა. შეიქმნა მსოფლიო ფედერაციის საქართველოს განყოფილება. ჩვენი ნაკრები მექსიკაში (ოქტომბერი) მსოფლიო ჩემპიონატში იასპარეზებს. კ. ბასილია კი მანამდე (აგვისტოში) იაპონიის ღია ჩემპიონატში გამოვა.

* * *



სურათზე: ხიტოში კასუია (მარცხნივ) და კახა ბასილია.

● **გამოცხადდა**, რომ გარი კასპაროვისა და ვიშვანათან ანანდის (ინდოეთი) მატჩი მსოფლიოს პირველობაზე პროფესიონალ მოჭადრაკეთა ასოციაციის ეგიდით გაიმართება არა კიოლნში, როგორც ადრე ვარაუდობდნენ, არამედ ნიუ-იორკში. ამერიკელებმა ეს უფლება იყიდეს 1,5 მილიონ დოლარად. მატჩი დაიწყება 10 სექტემბერს მსოფლიო სავაჭრო ცენტრში.

● **ლას-ვეგასის** ჰოსპიტალში 67 წლისა კიბოთი გარდაიცვალა ცნობილი ამერიკელი ჩოგბურთელი, რიჩარდ „პანჩო" გონსალესი. იგი წლების მანძილზე გამოდიოდა, როგორც მოყვარული. სწორედ მოყვარულის სტატუსით მოიგო მან აშშ-ს ღია ჩემპიონატი — პირადში, უიმბლდონი და საფრანგეთის ღია ჩემპიონატი — წყვილთა თანრიგში. 1949 წელს იგი გახდა პროფესიონალი და იმით გაითქვა სახელი, რომ უიმბლდონზე ყველაზე ხანგრძლივი მატჩი ითამაშა თანამემამულე — ჩარლი პასარელასთან. მეტოქეებმა სულ 112 გეიმი გაითამაშეს. „პანჩომ" გაიმარჯვა ანგარიშით 3:2 (22:24, 1:6, 16:14, 6:3, 11:9).

## რა ხდება ქვეყანაზე

● **კალათბურთელთა** ევროპის ჩემპიონატის დაჯილდოვების ცერემონიალზე ბერძენმა მაყურებლებმა სტვენით გააცილეს პირველ ადგილზე გასული იუგოსლავიის ნაკრები. ამასთან დაკავშირებით საბერძნეთის პრემიერმა ანდრეას პაპანდრეუმ სინანული გამოთქვა და აღნიშნა, რომ გაკვირვებულია თანამემამულეთა უტაქტობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

# ჩემპიონთა თასის პასიანსი

ევროპის ფეხბურთის ასოციაციათა კავშირმა გამოაქვეყნა ჩემპიონთა თასის შემდგომი გათამაშების მონაწილეთა სია. წინანდელისგან განსხვავებით მასში ის ცვლილებაა, რომ იუგოსლავიის „ცრვენა ზვეზდას“ ნაცვლად გამოვა უკრაინის ჩემპიონი — კიევის „დინამო“.

პირველ წყებაში ავტომატურად მოხვდნენ ჩემპიონთა ლიგის შარშანდელი გათამაშების საუკეთესო გუნდები: „აიაქსი“ (ჰოლანდია), „იუვენტუსი“ (იტალია), „ნანტი“ (საფრანგეთი), „ბორუსია“ (გერმანია), „რეალი“ (ესპანეთი), „ბლეკბერნი“ (ინგლისი), „პორტუ“ (პორტუგალია), „სპარტაკი“ (მოსკოვი, რუსეთი).

მომდევნო რვა ადგილზე იმყოფებიან: „ანდერლეჰტი“ (ბელგია), „ბეშიქთაში“ (თურქეთი), „კაზინო“ (ავსტრია), „პანათინაიკოსი“ (საბერძნეთი), „ოლბორგი“ (დანია), „გეტებორგი“ (შვეცია), „რეინჯერსი“ (შოტლანდია), „გრასჰოპერსი“ (შვეიცარია).

შემდგომი რვა ადგილი: „ლეგია“ (პოლონეთი), „სტიაუა“ (რუმინეთი), „რესენბორგი“ (ნორვეგია), „მაკაბი“ (ისრაელი), „ფერენცვაროში“ (უნგრეთი), „ჰაიდუკი“ (ხორვატია), „ანორტისისი“ (კვიპროსი), „დინამო“ (კიევი, უკრაინა).

თასების მფლობელთა თასის გათამაშების პირველ რაუნდში უშუალოდ ითამაშებენ: „სარაგოსა“ (ესპანეთი), „პარმა“ (იტალია), „პარი სენ-ჟერმენი“ (საფრანგეთი), „ბორუსია“ (გერმანია), „დეპორტივო“ (ესპანეთი), „ევერტონი“ (ინგლისი), „სპორტინგი“ (პორტუგალია), „დინამო“ (მოსკოვი, რუსეთი), „ბრიუგე“ (ბელგია), „ფეიენოორდი“ (ჰოლანდია), „ტრაბზონსპორი“ (თურქეთი), „რაპიდი“ (ავსტრია), აეკ (საბერძნეთი), „კოპენჰაგენი“ (დანია), „ჰალმსტადი“ (შვეცია), „სელტიკი“ (შოტლანდია).

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

### „იუვენტუსი“ — „აიაქსი“: აი მატჩი!

ცნობილმა გამოცემამ „ვოლ სტრიტ ჟურნალმა“ გამოაქვეყნა ევროპის საუკეთესო კლუბების საკუთარი რეიტინგი. ამ სიას სათავეში უდგას ათეული ასეთი თანმიმდევრობით: „იუვენტუსი“ (იტალია), „აიაქსი“ (ჰოლანდია), „მილანი“ (იტალია), „პარმა“ (იტალია), „პორტუ“ (პორტუგალია), „ლაციო“ (იტალია), „რომა“ (იტალია), „პარი სენ-ჟერმენი“ (საფრანგეთი), „ნანტი“ (საფრანგეთი), „ბრიუგე“ (ბელგია).

რეიტინგი შედგენილია ეროვნული ჩემპიონატების, თასების, ევროთასების გათამაშებათა შედეგების მიხედვით. საყურადღებოა, რომ ამ ათეულში ვერ მოხვდნენ ისეთი გრანდები, როგორებიცაა ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედი“, „ლივერპული“ და „ბლეკბერნი“, გერმანიის „ბაიერნი“ და „ბორუსია“, ესპანეთის „რეალი“ და „ბარსელონა“, პორტუგალიის „ბენფიკა“ და მრავალი, მრავალი სხვა.

დიდი დავა ატყდა იმის გარშემო, რომ პირველ ადგილზეა „იუვენტუსი“ და არა „აიაქსი“ — ევროპის ლიგის ჩემპიონი, რაზეც გაზეთის მიმომხილველი გადაჭრით პასუხობს: „რაა აქ სადავო? შეხვდნენ ერთმანეთს მინდორზე „იუვენტუსი“ და „აიაქსი“, ყველაფერიც იქ გაირკვევა“.

● ესპანეთის ცნობილი საფეხბურთო კლუბი „ვალენსია“ უაღრესად მძიმე ფინანსურ კრიზისში აღმოჩნდა, ამიტომაც მისმა ხელმძღვანელობამ უკვე დაითხოვა წამყვანი მოთამაშეები პენევი, ჰინერი, რობერტო, ელო, ახლა კი მათ რიცხვს მიემატებიან ფერნანდო, რუანი, კარლოსი, ელოი და ოლეგ სალენკოც. საეჭვოა თვით „ვალენსიის“ პრეზიდენტის ფრანსისკო როგოსის ამ პოსტზე დატოვების საკითხიც. იგი, ალბათ, თავს ვერ გაართმევს კრიზისს.

● სამარცხვინო საქმე მოუვიდა 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელს ბრაზილიელ რომარიოს: მისი კლუბი „ფლამენგო“ ქალაქ არაკაუში ამხანაგურ მატჩს მართავდა სერჟიპეს შტატის ნაკრებთან, ტრიბუნებზე სულ 9 ათასი მაყურებელი თუ იყო, რომარიომ უხეში თამაშისათვის ჯერ ყვითელი ბარათი დაიმსახურა, შემდეგ მსაჯთან კამათისათვის — წითელი და მაყურებელთა აუწერელ სტვენაში დატოვა მინდორი.

● პარიზის „პარი სენ-ჟერმენის“ თავდამსხმელი დავიდ ჟინოლა 2,5 მილიონ გირვანქა სტერლინგად შეისყიდა ინგლისის „ნიუკასლმა“. 28 წლის ჟინოლამ 4 წლით გააფორმა კონტრაქტი.

● მომავალი სეზონიდან ცნობილი პორტუგალიელი მწვრთნელი ანტონიო ოლივეირა სათავეში ჩაუდგება ესპანეთის „სევილიას“. მანამდე იგი ხელმძღვანელობდა ლისაბონის „ბენფიკას“, საფრანგეთის „ბორდოს“ და სხვა კლუბებს.



# ლეონიდას და სილვა — „შავი ალმასი“



ლეონიდას და სილვა

თქმა არ უნდა, ბრაზილიელები ომამდეც ერთ-ერთი უძლიერესნი იყვნენ ფეხბურთის სამყაროში. თუმცა მსოფლიო ჩემპიონობა ვერ მოიპოვეს, პელეს ღირსეული წინაპრები ჰყავდა — არტურ ფრიდენრაიხი, რომლის ანგარიშზე 1329 გატანილი გოლი ირიცხებოდა და ლეონიდას და სილვა, მსოფლიოს 1934 და 1938 წლების ჩემპიონატების მონაწილე.

ლეონიდასი დაიბადა 1913 წლის 6 სექტემბერს რიო-დე-ჟანეიროს გარეუბან სანკრისტოვაოში. ეს საოცრად მოქნილი, მაღალტექნიკური ცენტრფორვარდი ბრაზილიელ გულშემატკივართა ნამდვილი კერპი იყო, რომლებიც მას „შავ ალმასს“ უწოდებდნენ. თამაშობდა „სან-კრისტოვაოში“, „ბონსუქსესოში“, შემდეგ კი განთქმულ „ვასკო და გამაში“, 1933 წლიდან ურუგვაიში, მონტევიდეოს „ნასიონალში“ გამოდიოდა, მერე კვლავ „ვასკოში“ დაბრუნდა. მოგვიანებით „ბოტაფოგოში“, „ფლამენგოსა“ და „სან-პაულუშიც“ თამაშობდა.

ევროპელ სპეციალისტებს იგი განსაკუთრებით მსოფლიო ჩემპიონატებში დაამახსოვრდათ, ეს კი იყო მსოფლიოს მეორე ჩემპიონატში (იტალია), ბრაზილიელებმა წააგეს ესპანელებთან (1-3) და დატოვეს შეჯიბრება. ის ერთადერთი ბურთი ბრაზილიელთაგან ლეონიდასმა გაიტანა.

გავიდა ოთხი წელი. საფრანგეთში მსოფლიოს მესამე ჩემპიონატი იწყებოდა. გერმანულ „დი ფუსბალ ვოხეს“ რიო-დე-ჟანეიროში საკუთარი კორესპონდენტი ჰყავდა, რომელიც ბევრ საყურადღებოს იუწყებოდა ბრაზილიელების მზადების შესახებ, ერთ კორესპონდენციაში ისიც კი ეწერა, რომ ისინი ამჯერად უპირატესობას აღარ ანიჭებდნენ „ფუქ ჟონგლიორებს“, უფრო ფიზიკურად ძლიერ, შეუპოვარ და აგრესიულ მოთამაშეებს არჩევდნენ.

მეტად საინტერესო გამოდგა ბრაზილიელთა მერვედფინალური მატჩი პოლონელებთან. პირველი ტაიმი დამთავრდა ანგარიშით 3-1 ბრაზილიელთა სასარგებლოდ, ამასთან სამივე გოლი ლეონიდასმა გაიტანა. სამხრეთამერიკელებმა მიიჩნიეს, რომ საქმე გაკეთებული იყო, მოეშვნენ და 62-ე წუთისთვის ანგარიში გათანაბრდა — 3-3. ბრაზილიელები ძალზე განერვიულდნენ, ლეონიდასს ბუცი გაეხა, მწვრთნელს შეუყვირა და, თქვენ წარმოიდგინეთ, სათადარიგო ფეხსაცმელი ბრაზილიელებს აღარ აღმოაჩნდათ. ძირითადი დრო ფრედ — 4:4 დამთავრდა, მაგრამ შემდეგ მეტისმეტად ნერვიულ თამაშში ბრაზილიელებმა მაინც მიაღწიეს წარმატებას — 6:5! ლეონიდასმა კიდევ ერთი გოლი (ამ თამაშში მეოთხე!) გაიტანა.

მეოთხედფინალური შეხვედრა ჩეხოსლოვაკიელებთან არანაკლებ დრამატულად მიმდინარეობდა. უკვე პირველ ტაიმში ბრაზილიელ ზეზეს უხეშობისთვის მინდორი დაატოვებინეს, მაგრამ გუნდი არ გამტყდარა. ლეონიდასი პირდაპირ ფრინავდა, ანგარიშიც გახსნა, მაგრამ ნეედლიმ 11-მეტრიანით საპასუხო ბურთი გაიტანა — 1:1.

იმდროინდელი წესებით საჭირო შეიქმნა ხელმეორე შეხვედრის დანიშვნა. ბრაზილიელებმა, რომლებსაც „გრძელი სკამი“ აღმოაჩნდათ, გადაახალისეს შემადგენლობა, ჩეხოსლოვაკიელებს კი ამის საშუალება არ ჰქონდათ. ამჯერად ანგარიშით 2-1 გაიმარჯვეს ბრაზილიელებმა და ნახევარფინალში გავიდნენ. მათგან გოლები გაიტანეს კვლავ ლეონიდასმა და რობერტომ.

როცა ბრაზილიელები იტალიელებთან ნახევარფინალურ მატჩში გამოვიდნენ მინდორზე, ყველა გააოცა ერთმა ამბავმა — მათ რიგებში არ იყო ლეონიდასი. ამან დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია და სინამდვილე, ასე გასინჯეთ, დღემდე არ არის ცნობილი. ბრაზილიის ნაკრების ხელმძღვანელობის მიერ გამოქვეყნებულ ცნობაში ნათქვამი იყო, რომ მთავარი სნაიპერი სპეციალურად დაასვენეს ფინალისათვის, რადგან სამხრეთ ამერიკელებს იტალიელებთან გამარჯვებაში ეჭვი არ ეპარებოდათ. იმასაც ამბობდნენ, რომ ლეონიდასი დაშავებული იყო.

მაგრამ იტალიელებმა მოუგეს ბრაზილიელებს 2-1 და შემდგომში, როგორც ცნობილია, მსოფლიო ჩემპიონებიც გახდნენ. რაც შეეხება ბრაზილიელებს, მათ მესამე ადგილისათვის დამატებით მატჩში სძლიეს შვედებს — 4-2. ორი ბურთის ავტორი ისევ ლეონიდასი გახდა.

როცა ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ მსოფლიოს იდეალური ნაკრები შედგა, მასში ლეონიდასიც შეიყვანეს, ამ ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერი (8 ბურთი).

ლეონიდას და სილვამ 1932-46 წლებში ნაკრებში 24 მატჩი ითამაშა და 25 გოლი გაიტანა. შემდგომში იგი მწვრთნელად და ტელეკომენტატორად მუშაობდა.

● დიეგო მარადონა დარჩა არგენტინის „ბოკა ხუნიორსში“, მისი 15-თვიანი დისკვალიფიკაცია (დოპინგის ხმარებისათვის) შემოდგომით გადის, მარადონა 2 ოქტომბერს გამოვა მინდორზე იტალიის ერთ-ერთ გუნდთან ამხანაგურ მატჩში.

● ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციის პრეზიდენტი რიკარდო ტეიშეირა კვლავ აირჩიეს ამ პოსტზე, რომელიც მას 1989 წლიდან უჭირავს.

● ბულგარეთის ნაკრებისა და ლისაბონის „სპორტინგის“ ნახევარმცველი ივოლო იორდანოვი მძიმედ დაშავდა ავტოკატასტროფაში. 27 წლის ფეხბურთელი მეტისმეტი სისწრაფით მიქროდა ქალაქ ველიკო-ტირნოვოს ავტოტრასაზე, მანქანა გადაბრუნდა, ექიმებმა ჰოსპიტალში დაადგინეს ხერხემლისა და მკერდის ძვლის მოტეხილობა.

● რუსეთის ნაკრების ნახევარმცველი იგორ შალიმოვი შარშან გერმანიის „დუისბურგში“ გამოდიოდა, ახლა კი მას კლუბიდან ითხოვენ. ი. შალიმოვის შეძენის მსურველებია იტალიის „ინტერი“ და საბერძნეთის აეკ-ი.

● მყიდველი გამოუჩნდა ავსტრალიის ნაკრებისა და „სიდნეი იუნაიტედის“ 22 წლის პერსპექტიულ მეკარეს ზელკო კალაჩს. იგი 1,2 მილიონ დოლარად შეიძინა ინგლისის მეორე დივიზიონის „ლესტერმა“.

● სლოვაკეთის ნაკრებს ახალი მწვრთნელი ჰყავს — 57 წლის იოზეფ იანკეჩი.

## კრიმინალური ქრონიკა

### პატიმრობა — 43 წლით!

საქვეყნოდ მიიარა ცნობამ კოლუმბიაში მომხდარი ავაზაკური მკვლელობის შესახებ. შარშან 2 ივლისს ვინმე უმბერტო მუნიოს კასტრომ პისტოლეტით მოკლა ამ ქვეყნის ნაკრების მოთამაშე ანდრეას ესკობარი. ფანატიკოსს რა საბაბი უნდა? ესკობარმა საკუთარ კარში გაიტანა ბურთი მსოფლიო ჩემპიონატის მატჩში აშშ-ს ნაკრებთან და ამიტომაც, თურმე, სიკვდილის ღირსი ყოფილა.

აბსურდია! რა თქმა უნდა, მაგრამ ფანატიკოსისათვის აბსურდული არაფერი გახლავთ. და, აი, სასამართლო შედგა. უმბერტო მუნიოს კასტროს... თითქმის სამუდამო ტუსაღობა — 43 წლით საპყრობილე მიესაჯა.

### ჯარიმა — 500 000 რუბლი

ნოვოროსიისკის „ჩერნომორეცის“ მთავარი მწვრთნელი ოლეგ დოლმატოვი დააჯარიმეს 500.000 რუბლით იმის გამო, რომ ერთობ უდიერად იქცეოდა მისი გუნდის ნაბერეჟნიე ჩელნის „კამაზთან“ შეხვედრის დროს, სათადარიგოთა სკამიდან უყვიროდა მოთამაშეებს, წამდაუწუმ გამოთქვამდა უკმაყოფილებას, ეყაყანებოდა მსაჯს, მის თანაშემწეს, რის გამოც არბიტრმა ანდრეი ბუტენკომ იგი გააძევა ასპარეზიდან.

ასეთივე თანხით დააჯარიმეს ივანოვოს „ტექსტილშჩიკის“ ვიცე-პრეზიდენტი ევგენი ივანოვი, რომელიც ტულის „არსენალთან“ მატჩისას სათადარიგოთა სკამზე იჯდა (ამისი უფლება მას არა აქვს), თამაშის დამთავრების შემდეგ კი მსაჯთა ოთახში შეჭრას ლამობდა.

ყალბი საბუთების შედგენისა და დაწესებული რეგლამენტის დარღვევისათვის (განუცხადებელ მოთამაშეთა მინდორზე გამოყვანა) გათამაშებიდან მოხსნეს რუსეთის მესამე ლიგის გუნდი „კოლოსი-დ“ (კრასნოდარი), მწვრთნელ მიხეილ რუბანს კი აუკრძალეს პროფესიული ლიგის გუნდებთან მუშაობა. ცალკე განიხილავენ კლუბის პრეზიდენტის ბეზირგანის საკითხს.

## სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატი

ურუგვაის ქალაქებში მიმდინარეობს სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატი ფეხბურთში — „კოპა ამერიკა“. ეს ფინალური გათამაშებაა, მასში 3 ქვეჯგუფად განაწილებული 12 გუნდი მონაწილეობს.

გთავაზობთ ფინალის პირველ შედეგებს: I ქვეჯგუფი. ურუგვაი — ვენესუელა 4-1, მექსიკა — პარაგვაი 1-2, ურუგვაი — პარაგვაი 1-0, მექსიკა — ვენესუელა 3-1. II ქვეჯგუფი. კოლუმბია — პერუ 1-1, ბრაზილია — ეკვადორი 1-0, კოლუმბია — ეკვადორი 1-0, ბრაზილია — პერუ 2-0. III ქვეჯგუფი. აშშ — ჩილი 2-1, არგენტინა — ბოლივია 2-1.

# „დააყენეთ პელე სასწორზე, რასაც აიწონის, იმდენ ოქროს გადავიხდი!“

ყოველ ზაფხულს, გაზაფხულიდან მოყოლებული შემოდგომამდე, როცა უცხოეთის ქვეყნებში საფეხბურთო არდადეგები დგება, იწყება გაცხარებული ვაჭრობა, ფეხბურთელების ალებ-მიცემობა, „ტრანსფერლისტის“ ხილული თუ მალული საქმეები, ათასგვარი მაქინაცია, ყიდიან, ყიდულობენ, ანგარიშობენ, ვაჭრობენ, ჩარჩობენ.

მაგრამ, ეს არის, ფეხბურთელის ფასმა ბოლო ხანებში მეტისმეტად აიწია, გამოჩენილ ოსტატთა ღირებულებამ ათეულ მილიონებს მიაღწია. დოლარი, სტერლინგი, ლირა, მარკა, გულდენი, ფრანკი — ყველაფერი ეს კალეიდოსკოპურად ტრიალებს, ბორგავს, ხლაფორთობს, საფეხბურთო კომერსანტები ქვეყნიდან ქვეყანაში, კონტინენტიდან კონტინენტზე, მატერიკიდან მატერიკზე დაგელვებენ თვითმფრინავებს და სისრულეში მოჰყავთ თავიანთი კლუბების ხელმძღვანელებისა და მწვრთნელების დანაბარები. ეს დახლართული კომერცია კი იოლი საქმე არაა, საქმე მილიონებს ეხება.

გვახსოვს ის უძველესი დრო, როცა შოტლანდიელი ფეხბურთელი ჯონ მაკ-კორმიკი ინგლისელებმა იმ დროისათვის გაუგონარ თანხად 180.000 გირვანქა სტერლინგად შეიძინეს, და ამაზე საერთაშორისო პრესა დიდხანს ლაპარაკობდა. ისიც გვახსოვს, როცა ახალგაზრდა ბრაზილიელი ზანგი თავდამსხმელის პელეს სახელი მთელ მსოფლიოს მოედო, ერთი იტალიური მდიდარი კლუბის მფლობელმა ასე თქვა: „დააყენეთ პელე სასწორზე, რასაც აიწონის, იმდენ ოქროს გადავიხდი!“

მაგრამ ეს ყველაფერი დღეს აღარავის აკვირვებს, ფულიცა და ოქროც არავის ენანება, ოღონდ ამორჩეულ ფეხბურთელს თავისი კლუბის მაისური ჩააცვას და თავის გემოზე გამოიყენოს.

მაინც, ამ ზაფხულს რამდენიმე ისეთი გარიგება მოხდა, თვით ყოვლისმნახველი კომერსანტებიც კი გაოცებით იშმუშნებიან. 1994 წლის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელს, ბულგარელ ხრისტო სტოიჩკოვს ძველი მოყვრული ურთიერთობა აერია „ბარსელონის“ მწვრთნელ იოჰან კრუიფთან, უთანხმოება თანდათან კონფლიქტში გადაიზარდა და სტოიჩკოვმა ესპანეთიდან იტალიაში გადაინაცვლა „პარმაში“, და ეს გარიგება ლამის არის 8 მილიონი დოლარი დაჯდა. ხრისტო სტოიჩკოვს პარმის აეროპორტში ათასობით გულშემატკივარი დახვდა, ზეიმს ბოლო არ უჩანდა.

სხვათა შორის, „ბარსელონის“ რიგები დატოვეს სხვა გამოჩენილმა ლეგიონერებმაც — მიქაელ ლაუდრუპმა და რონალდ კუმანმაც. ესეც, ალბათ, ისევ ი. კრუიფთან უთანხმოების შედეგად მოხდა. „ბარსელონას“ შემორჩა მხოლოდ გამოჩენილი რუმინელი ნახევარმცველი გეორგე ჰაჯი, მაგრამ კატალონიის ეს კლუბი ხელმოცარული არ დარჩება, მილიონები იყოს და ხეირიანი მოთამაშე ყოველთვის გამოიძებნება.

მაგრამ რვა მილიონი დოლარი რა სახსენებელია, ამით ვის გააკვირვებ! აი, იტალიის „იუვენტუსმა“ გამოჩენილი ფეხბურთელი, ამ ქვეყნის ნაკრების კაპიტანი რობერტო ბაჯო „მილანს“ 31 მილიარდ ლირად მიჰყიდა, რაც „ჩვენს ენაზე“ 19,3 მილიონ დოლარს უდრის. აი თანხა! ეს 1995 წლის ყველაზე ძვირადღირებული ტრანსფერია.

ინგლისშიც მოხდა სარეკორდო გარიგებანი ჯერ იყო და „მანჩესტერ იუნაიტედმა“ დიდ ფულად შეიძინა ენდი ჯოული „ნიუკასლიდან“, მერე „არსენალმა“ ჰოლანდიელი დენის ბერგკამპი იყიდა იტალიის „ინტერისაგან“, ხოლო შემდეგ კი ყველას გადააჭარბა „ლივერპულმა“, რომელმაც თავისი საუკეთესო ბომბარდირი სტენ კოლიმორი „ნოტინგემ ფორესტს“ 8,5 მილიონ გირვანქად მიჰყიდა, ეს კი 13,6 მილიონი დოლარია.

ერთი სიტყვით მილიონები, მილიონები, მილიონები! კარგი ფეხბურთელი ოქროზე მეტად ფასობს. საინტერესოა, რას მიაღწევს ვარსკვლავთა ფასი XXI საუკუნის დასაწყისში?

## მარტინა ნავრატილოვა:

# კოლორადოში სდევნიან ჰომოსექსუალისტებს!

(პირველი გვერდიდან)

● **შესძლებდით თუ არა ამჟამად ასეთი ნაბიჯის გადადგმას?**

— ვფიქრობ, რომ ამჟამად ნერვები მღალატობს.

● **არსებობდა თუ არა თქვენთვის რაიმე ალტერნატივა?**

— ჩემს ემიგრაციას ლოგიკური საფუძველი ჰქონდა. მე მჭირდებოდა თავისუფლება, თანაც, არ დაგავიწყდეთ, რომ ყველა დიდი ტურნირი შტატებში იმართებოდა...

● **ხომ არ აპირებთ ევროპაში დაბრუნებას?**

— მცირე ხნით ვაპირებ. ერთი ორ წელს სიამოვნებით ვიცხოვრებდი იტალიაში ან ესპანეთში. მე მომწონს ამ ქვეყანაში მცხოვრები ხალხის ტემპერამენტი.

● **გახსოვთ ალბათ, რომ „მეჯიკ" ჯონსონმა საქვეყნოდ აღიარა შიდსით ვარ დაავადებულიო და მთელი ამერიკა გულშემატკივრობდა მას. ხომ არ იყავით გალიზიანებული ამის გამო?**

— გაღიზიანებული არ ვყოფილვარ, „მეჯიკის" ლოგინში იკოტრიალა ათასობით ქალმა. მაგრამ იგი მამაკაცია და ყველაფერი ეპატიება. იმავე მდგომარეობაში რომ ყოფილიყო ქალი და მერე გამოეცხადებინა შიდსით ვარ ავადო, იტყოდნენ — პროსტიტუტკა ყოფილა, ახია მაგაზეო. ასეთი ორგვარი მორალი ამერიკაში პოპულარულია.

● **1973 წელს, თქვენ რომ პირველად გამოხვედით უიმბლდონზე, გრაფი ოთხი წლისა იყო, საბატინი — სამისა, სელეში კი ჯერ არც იყო დაბადებული. რას ფიქრობდით მათთან თამაშის დროს?**

— თავს ცოტათი უხერხულად ვგრძნობდი. მაგრამ, როცა სელეში მიგებდა, მას არასდროს უფიქრია დედისტოლა ქალს ვუგებ და უხერხულიაო.

● **მშობლები ხშირად ოცნებობენ შვილების სპორტულ წარმატებებზე. თქვენებიც ასეთები იყვნენ?**

— ჩემი აზრით, დიდი დანაშაულია, როცა ბავშვებს ართმევენ ბავშვობას დიდების ამბიციების გამო. მამაჩემი ამბობდა: ნუ ჩქარობთ, ყველაფერი დროზე მოვაო. ახლა, სამწუხაროდ, 12-13 წლის ბავშვები პროფესიონალებივით იქცევიან.

● **თქვენს აზრს გავაგრძელებთ და ვიტყვით, რომ ჯენიფერ კაპრიატი უკვე უჩივის დაღლილობას და დიდი ჩოგბურთიდან წასვლაზე ფიქრობს, არადა ჯერ ახალგაზრდაა.**

— კაპრიატი უმოწყალოდ არის ექსპლოატირებული. არა მგონია, რომ ამ ნიჭიერმა გოგომ 25 წლამდე გაძლოს.

● **თუ მეგობრობთ რომელიმე თქვენს მეტოქესთან?**

— ისინი ახლაც ბავშვები არიან, რომ ჩემთან ერთად სვან ლუდი. მე და კრის ევერტი კი ხშირად ვყოფილვართ ლუდხანაში...

● **განა თქვენ შტეფი გრაფთან ერთად არ გივახშმიათ?**

— ვინ გითხრათ ეს ტყუილი? არც გრაფთან და არც სელეშთან... საბატინისთან ერთად ვყოფილვარ, მაგრამ მარტო კი არა...

● **ვინ გააგრძელებს მარტინა ნავრატილოვას ტრადიციებს ჩოგბურთში?**

— სელეში დიდ იმედებს იძლეოდა, მაგრამ აგერ უკვე რამდენიმე წელია ხელში არ აუღია ჩოგანი.

● **რას უნდა მიაქციოს ყურადღება გრაფმა?**

— შტეფიმ უნდა განიმტკიცოს ნებისყოფა, იგი გონებაზე უფრო ინსტიქტს ენდობა და გულის სიღრმეში რწმენა აქვს დაკარგული.

● **და მაინც, ჩოგბურთში, ძალის გარდა გარკვეული მნიშვნელობა აქვს გრძნობებსაც?**

— პირადად მე მხოლოდ გონების კარნახს ვენდობოდი. მაგრამ კორტზე ბევრი ფიქრიც საზიანოა. შეიძლება შიშველი ძალის მსხვერპლი გახდე.

● **და მაინც თქვენ, ყველა დროის საუკეთესო ჩოგბურთელს, მატჩის წინ ხშირად ნერვები გაქვთ დაჭიმული.**

— მერე და რა არის ამაში ცუდი? კორტზე ყველაფერს ვივიწყებ: ასაკს, ტრავმებს, ჟურნალისტებთან ურთიერთობას. მე, როგორც ჰაერი, ისე მჭირდება აპლოდისმენტები, მაყურებლის აღტაცება.

● **თქვენ სახლში ბევრი ძაღლი გყავთ: ყველანი დაგყავთ შეჯიბრებაზე?**

— მხოლოდ ერთი — კილერი. ყველაზე ტანმორჩილი.

● **სასტუმროს ნომერში კილერი ალბათ ოჯახურ სიმყუდროვეს გიქმნით?**

— რა თქმა უნდა. ეს კი არა, ყველგან დამაქვს თან საკუთარი ბალიში.

● **წლების მანძილზე თქვენი იმიჯი არ შეცვლილა. მაყურებლები შეეჩვივნენ მტკიცე ხასიათის, აგრესიულ მოთამაშეს, რომელიც, ამავე დროს, შესამჩნევად მოიკოჰლებს იუმორში. თქვენ თვითონ თუ მოგწონთ ასეთი იმიჯი?**

— როგორ გგონიათ, ჩაიხედა ვინმემ უფრო ღრმად ჩემს სულში? გულშემატკივარი ჩემში პოულობს იმას, რისი ნახვაც უნდა. მათ აინტერესებთ მხოლოდ ჩემი გამარჯვებები. ეს ხალხი ასე მსჯელობს: ნავრატილოვა აგრესიულია კორტზე? იგი ასეთივე იქნება ცხოვრებაში. არადა, გულწრფელად ვფიქრობ, რომ დადებითი ადამიანი ვარ. მე მტერიც ბევრი მყავს და მოყვარეც, ვილაცვილაცეებს სურთ დაემსგავსონ ნავრატილოვას. ამიტომაც არ მეშინია გულახდილად ვთქვა ის, რასაც ვფიქრობ, მერე კი, თუნდაც ყველაფერი ჩემს საწინააღმდეგოდ შემობრუნდეს.

**ეს ინტერვიუ სახელოვან ჩოგბურთელს ჩამოართვა გაზეთმა „ელ პაისმა".**



სურათზე: ნავრატილოვა (შუაში) ყოფილ მეუღლესა და სიდედრთან ერთად.

## ინფორმაცია

გამოცხადდა, რომ ორწლიანზე მეტი შესვენების შემდეგ, 29 ივლისს, კორტზე გამოვა მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი ჩოგბურთელი ქალი მონიკა სელეში. ეს მოხდება ატლანტიკ-სიტიში (ნიუ-ჯერსის შტატი). სელეშის მეტოქე საჩვენებელ ორთაბრძოლაში იქნება ასევე მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთი უძლიერესი ჩოგანი, ამჟამად ვეტერანი მარტინა ნავრატილოვა, რომელსაც სანახევროდ თავი აქვს დანებებული სპორტისათვის. „ჩემთვის ეს მატჩი მშვენიერი ნუგეში იქნება ჩოგბურთიდან საბოლოოდ წასვლის წინ, — განაცხადა ნავრატილოვამ, ოღონდ ვერ გეტყვით ვინ უფრო მეტად იღელვებს ამ დღეს, მე თუ მონიკა?".

# ტურნირიც ამას ჰქვია!

პროფესიულ რინგზე

ამერიკის საკაბელო ტელევიზია ნბო იზიარებს აზრს იმის შესახებ, რომ პროფესიულ რინგზე ვერსიათა სიმრავლის გამო დიდი ქაოსია და კაცი ვერ გაიგებს ხეირიანად, ვინ არის დღესდღეობით ნამდვილად უძლიერესი. დაბალ წონით კატეგორიებში ეს მდგომარეობა დიდ გართულებებს არ იწვევს, აი მძიმე წონაში კი, კრივის ყველა ჭეშმარიტი მოყვარული გაღიზიანებულია. მართლაც, რომელი ვერსიითაა უფრო საპატიო ჩემპიონობა — იბფ-თი, ვბს-თი, თუ ვბო-თი. გარდა ამისა, ვინ გაიმარჯვებს აღნიშნული ვერსიების ფალავნები რომ დაეჯახო ერთმანეთს. როცა მაიკ ტაისონი, მაგალითად, ჩემპიონის ტიტულს ფლობდა სამივე ვერსიით, ყველაფერი გასაგები იყო. აი ჩემპიონთა დიფერენციაცია კი — ყველაფერს თავდაყირა აყენებს.

ერთი სიტყვით, საკაბელო ტელევიზიამ ამ არეულობაში ერთგვარი წესრიგის დამყარება მოინდომა და გადაწყვიტა გრანდიოზული ტურნირის მოწყობა მძიმე წონის რვა უძლიერესი მოკრივის მონაწილეობით, რომელთაგან ზოგი დღემდე გახლავთ მსოფლიოს ჩემპიონი, ზოგი კი ამ ტიტულის მატარებელი იყო. აი ისინი, ვინც უნდა დაამშვენოს ტურნირი: რიდიკ ბოუ, ლენოქს ლუისი, ჯორჯ ფორმენი, მაიკლ მურერი, ევანდერ ჰოლიფილდი, ჰერბ ჰაიდი, რეი მერსერი, ტომი მორისონი (როგორც ხედავთ, მონაწილეთა შორის არ არის მხოლოდ ოლივერ მაკოლი, რასაც მოკრივის ტრავმას მიაწერენ, თუმცა ეს ვერსია ბოლომდე სარწმუნო არ გახლავთ).

ორგანიზატორებს განზრახული აქვთ ფინალური ორთაბრძოლის მოწყობა გაისად ივლისში. თავდაპირველი წყვილების შერჩევისას გათვალისწინებულია ყველაფერი: მხარეთა შესაძლებლობებიცა და მაყურებელთა ინტერესებიც. ასე მაგალითად, პირველი ორთაბრძოლა ლუისსა და მორისონს შორის გაიმართება ლონდონში (ოქტომბერს) ლენოქსის სამშობლოში. ბოუს პირველ მეტოქედ ჰოლიფილდი დამტკიცდა. საერთოდ კი ტურნირს ჰყავს ორი ფავორიტი — ბოუ და ლუისი.

რა მოხდება მერე, როცა გაისად ივლისში გამოვლინდება ტურნირში გამარჯვებულის ვინაობა? იგი შეხვდება მაიკ ტაისონს, რომელსაც ამ დროისათვის შეიძლება ჰქონდეს კიდეც მოპოვებული მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის ტიტული. კრივის მსოფლიო კავშირის ხელმძღვანელთა განცხადებით, ეს იქნება ყველაზე სამართლიანი შეჯიბრება, რომელიც კი ოდესმე გამართულა.

დაბოლოს, ფინანსების შესახებ. ასეთი ტურნირის ორგანიზაცია, ბუნებრივია, დიდ ხარჯებთან იქნება დაკავშირებული. თანაც ამდენი „ვარსკვლავის" მიზიდვას მყარი ფინანსიური გარანტიები სჭირდება. როგორც ცნობილი გახდა, შეჯიბრების ჩატარებისათვის გამოიყოფა 175 მილიონი დოლარი, გამარჯვებული კი მიიღებს 30 მილიონს. დანარჩენი დეტალები ზუსტდება.

# კროსვორდი



**შვეულად:** 1. სახელოვანი ფრანგი ველოსიპედისტი — სპრინტერი, 2. მძლეოსნური იარაღი, 3. ორმაგი გამარჯვება სპორტში, 4. კრივში დარტყმის ერთ-ერთი სახეობა, 7. სამიზნე თეფშებზე სროლის ადგილი, 9. ასპარეზობა, 10. ცნობილი სათხილამურო ცენტრი, 12. ასაკობრივი კატეგორია სპორტში, 13. რუსი ძალოსანი, მსოფლიო და ევროპის ექსჩემპიონი მჩატე წონაში, 18. აღკაზმულობა, 19. სათევზაო ინვენტარი, 20. სპორტის ტექნიკური სახეობა, 24. ცნობილი იტალიელი ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავე, 25. მუსიკალური ნაწარმოები, რომელიც სრულდება აგრეთვე სპორტსმენთა დაჯილდოებისას.

**თარაზულად:** 5. არბიტრთა ზედამხედველი, 6. ზამთრის სპორტის ინვენტარი, 8. სპორტის შედარებით ახალი სახეობა თეთრი ოლიმპიადების პროგრამაში, 11. პროფესიონალი მხედარი, 14. მოკლენიჩბიანი სპორტული ნავი, 15. ცხენოსნობაში სპორტის ეროვნული სახეობების ერთ-ერთი ცენტრი საქართველოში, 16. ახლო წარსულში თბილისის ერთ-ერთი საფეხბურთო კლუბის სახელწოდება, 17. ავსტრიის საფეხბურთო კლუბი, 21. საქართველოში ცნობილი ტანმოვარჯიშე ქალი, 22. საქართველოს მძლეოსანი, XX ოლიმპიური თამაშების „ვერცხლის" პრიზიორი,. 23. მოხერხება, სიმარჯვე, შინაგანი თვისება, 26. თბილისის „დინამოს" ფეხბურთელი, ევროპული თასის მფლობელი, 27. სპორტული თამაში, სპეციალურ მაგიდაზე, 28. ჭომოლუნგმას პირველდამპყრობი.

**„ლელოს" 25-ე ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 1. ფედერაცია, 4. ენერგია, 6. შებოჭვა, 9. ინოკი, 12. ელინი, 13. ასაკი, 17. სმითი, 19. რეკორდი, 20. ბლიცი, 21. რომა, 22. ეტლი, 25. ეტაპი, 26. სტრენგი, 27. იმიჯი, 31. მოროუ, 32. ნიათი, 35. ტაბლო, 36. აბზინდა, 37. დოპინგი, 38. ტრამპლინი.

**შვეულად:** 2. დვირი, 3. ცხენი, 4. ეუსებიო, 5. რბენა, 7. ოდესა, 8. ამბიცია, 10. ორმო, 11. სასროლეთი, 14. გვირგვინი, 15. პენალტი, 16. ედბერგი, 18. იარდი, 20. ბრიჯი, 23. ტაქტიკა, 24. სილუეტი, 28. კლუბი, 29. გოლფი, 32. ნოდია, 33. ელდა, 34. ომონი.

## რენა აბჟანდაძე

(1940-1995)



ქართულმა სპორტულმა საზოგადოებამ დიდი დანაკლისი განიცადა — მძიმე ავადმყოფობამ შეიწირა წარსულში ცნობილი ჩოგბურთელის, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, შესანიშნავი მოქალაქის რენა აბჟანდაძის სიცოცხლე.

14 წლის ასაკში დაიწყო მეცადინეობა ჩოგბურთში გამოჩენილ მწვრთნელთან არამ ხანგულიანთან. შრომისმოყვარე გოგონამ სულ მალე დაიმკვიდრა ადგილი რესპუბლიკის ნაკრებ გუნდში, ასევე სწრაფად დაიმსახურა გულშემატკივართა დიდი სიყვარული. იყო საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი საქართველოსა და „დინამოს" გუნდების შემადგენლობაში, სსრკ ხალხთა სპარტაკიადის მრავალგზის პრიზიორი.

უჩოგბურთოდ ცხოვრება არ შეეძლო და სპორტული კარიერის დამთავრებისთანავე ხელი მოჰკიდა მომავალი თაობის აღზრდას, როგორც მწვრთნელმა გამოამჟღავნა უდიდესი ნიჭი და პროფესიონალიზმი. წლების განმავლობაში მისი აღზრდილები წარმატებით გამოდიოდნენ საქართველოს და საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდებში სხვადასხვა რანგის საერთაშორისო შეჯიბრებებში.

წავიდა ჩვენგან კეთილი და გულისხმიერი, პრინციპული და სამართლიანი, თავისი საქმის ერთგულესი ადამიანი.

რენა აბჟანდაძის ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება მისი ახლობლების, შეგირდების, მეგობრებისა და კოლეგების გულებში.

საქართველოს სპორტის დეპარტამენტი,
საქართველოს ჩოგბურთის ფედერაცია.

---

საქართველოს რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტული კლუბი „დინამო" ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ჩოგბურთში, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი

**რენა აბჟანდაძე**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

სპორტის დეპარტამენტი და ფრენბურთის ფედერაცია თანაგრძნობას უცხადებს საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს, ფრენბურთში ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის დირექტორს სტანისლავ ბუინოვს **დედის** გარდაცვალების გამო.

---

გაზეთ „ლელოს" რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს ლავრენტი ჭიჭინაძეს — მეუღლის, მირიან ჭიჭინაძეს — დედის

**ნატალია მაკასარაშვილი-ჭიჭინაძის**

გრდაცვალების გამო.

---

გაზეთის დღევანდელი ნომერი აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემით. ხელმძღვანელი: გ. სიმონიშვილი. შემსრულებლები: ი. სიდამონიძე, ნ. რამიშვილი, მ. ჯილაური.

მთავარი რედაქტორი: თენგიზ გაჩეჩილაძე

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380096, მ.კოსტავას 14. ტელეფონი 99-56-14, 99-56-47. ინდექსი 66435 INDEX. ● დამატებითი ღირებულების გადასახადი (დღგ) შედის გაზეთის ფასში.